

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ანა ვარამაშვილი

**გაცვლითი კურსის დინამიკის მოდელირება,
(საქართველოს მაგალითზე)**

სამაგისტრო პროგრამა: ეკონომიკა

მოდული: ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი

ლია თოთლაძე

თბილისი 2019

ანოტაცია

ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად, როგორებიცაა მშპ, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ა.შ. ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს გაცვლითი კურსი. შესაბამისად, გაცვლითი კურსის მოდელირება და პროგნოზირება საკმაოდ მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მისი მოკლევადიანი დინამიკის პროგნოზირება სცდება თუნდაც ყველაზე სრულყოფილი ეკონომიკური ანალიზის შესაძლებლობებს. მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გაცვლითი კურსების თეორიული და ეკონომეტრიკული მოდელების ობიექტურობის შემოწმება საქართველოს მაგალითზე.

ნაშრომში განხილულია ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორების VAR მოდელი და შვიდი გაცვლითი კურსის VAR მოდელი. ასევე, გაცვლითი კურსების მოდელირების ექვსი განსხვავებული თეორიული მოდელი და საქართველოს ეკონომიკის მონაცემების საფუძველზე ემპირიულად გამოკვლეული და შეფასებულია შემთხვევითი ხეტიალისა და PPP მოდელის შედეგები შვიდი გაცვლითი კურსისათვის. აგებული მოდელების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა დაგვედგინა, რამდენად სამართლიანი და მიზანშეწონილია არსებული თეორიული თუ პრაქტიკული მოდელებით საქართველოს ეკონომიკის დახასიათება.

ნაშრომი შედგება შესავალის, სამი თავისა და დასკვნისგან. პირველ თავში განხილულია გაცვლით კურსებზე მოქმედი მაკროეკონომიკური დეტერმინანტები, მეორე თავში განხილულია გაცვლითი კურსების მოდელირების ხუთი განსხვავებული თეორიული მოდელის სახეები, ხოლო მესამე თავში განხილულია გაცვლითი კურსების ვოლატილობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი საქართველოს მაგალითზე. ამ თავში, ასევე, მოცემულია გაცვლითი კურსების მოდელების ემპირიული კვლევა საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე. ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ჩატარებული კვლევის შედეგები.

Annotation

With major macroeconomic indicators such as GDP, inflation, etc. The exchange rate is an important parameter for the country's economy. Consequently, the exchange rate forecast is quite important for the economic subjects in the country. In addition, it is noteworthy that forecasting its short-term dynamics is almost impossible even for the most comprehensive economic analysis capabilities. The aim of this master's thesis is to examine the objectivity of theoretical and econometric models of exchange rates on the example of Georgia.

The paper discusses VAR model of main determinants of NEER and VAR model for seven different exchange rate. Furthermore, six different theoretical models of exchange rate dynamics and according to the economic data empirically researches and evaluates random walk and PPP models' positive and negative results for seven currencies. According to current models analysis it became possible to find out how fair and appropriate it is for theoretical and practical models to be adjusted to review Georgian economy.

The paper consists from introduction, three chapters and a conclusion. The first chapter discuss macroeconomic determinants of exchange rates, in the second section five models of exchange rates dynamics are reviewed. The third chapter provides overview of determinants of exchange rates volatility in Georgia and an empirical study of exchange rate dynamics models on the example of the Georgian economy. The last part of the paper summarizes the results of the research.

Ana Varamashvili

Modeling of Exchange-Rate Dynamics

(the Case of Georgia)

სარჩევი

შესავალი.....	6
თავი I. სავალუტო კურსების მოდელირების თეორიული ასპექტები.....	9
1.1. სავალუტო კურსების განვითარების ისტორია	9
1.2. სავალუტო კურსების მაკროეკონომიკური დეტერმინანტები.....	11
1.3. ბალასა-სამუელსონის ეფექტი.....	17
თავი II. სავალუტო კურსის ვოლატილობის მოდელირების ეკონომეტრიკული მიდგომები.....	21
2.1. შემთხვევითი ხეტიალის მოდელი	21
2.1.1. შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზის თეორიული ჩარჩო.....	21
2.1.2. შემთხვევითი ხეტიალის მარტივი თეორიული მოდელი	22
2.1.3. ლო-მაკ-კინლის ვარიაციის კოეფიციენტების ტესტი.....	23
2.2. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (PPP) მოდელი.....	24
2.2.1. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია და PPP თავსატეხი	24
2.2.2. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მოდელი.....	28
2.3. ფრენკელ-ბილსონის ელასტიკური ფასების მონეტარული მოდელი.....	29
2.4. გაცვლითი კურსების მოდელირება ტეილორის წესის მიხედვით.....	30
2.5. საპროცენტო განაკვეთის მოდელი	32
2.7. MEVA (საშუალოვადიანი შეფასების) FX მოდელი.....	33
2.7.1. ბალასა-სამუელსონის ეფექტის გათვალისწინება MEVA FX მოდელში	34
2.7.2. სავაჭრო პირობების გათვალისწინება MEVA FX მოდელში	34
2.7.3. MEVA - პანელური მოდელი ფიქსირებული ეფექტით.....	35
2.7.4. MEVA მოდელის შეფასების პროცედურა.....	35
თავი III. საქართველოს ეკონომიკაში სავალუტო კურსის გავლენის შეფასების ემპირიული ანალიზი.....	38
3.1. სავალუტო კურსების განვითარება საქართველოში.....	38
3.2. გაცვლითი კურსების ვოლატილობის გამომწვევი ფაქტორები.....	39

3.2.1. ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორების ალტერნატიული ანალიზი VAR მოდელის საშუალებით.....	45
3.2.2. გაცვლითი კურსების VAR მოდელი.....	51
3.3. საგალუტო კურსების მოდელების რეალიზება საქართველოს მაგალითზე.....	60
3.3.1. გაცვლითი კურსების დროითი მწკრივების ანალიზი	60
3.3.2. გაცვლითი კურსების შემთხვევითი ხეტიალის მოდელის რეალიზება საქართველოს მაგალითზე.....	67
3.3.3. გაცვლითი კურსების PPP მოდელის რეალიზება საქართველოს მაგალითზე	72
დასკვნა.....	91
გამოყენებული ლიტერატურა	95
დანართი	97
დანართი #1 ლარის გაცვლითი კურსი შერჩეული ვალუტების მიმართ	97
დანართი #2 კორელოგრამები.....	100
დანართი #3 RW მოდელის ნარჩენობითი წევრების განაწილება.....	107
დანართი #4 Actual, Fitted, Residuals.....	109
დანართი #5 სამომხმარებლო ფასების ინდექსების დროითი მწკრივები	111
დანართი #6 სამომხმარებლო ფასების ინდექსების ლოგარითმული დროითი მწკრივები	114
დანართი #7 გაცვლითი კურსების ლოგარითმული დროითი მწკრივები.....	116
დანართი #8 დიკი-ფულერის ტესტი სამომხმარებლო ფასების ლოგარითმებში ერთეულოვანი ფესვის არსებობის შესახებ	119

შესავალი

უკანასკნელ პერიოდში ფინანსური ბაზრები მეტად გლობალიზებული ხდება სხვადასხვა ქვეყნებს შორის, რაც იწვევს უშუალოდ თითოეული ქვეყნისათვის შიდა ეკონომიკების კიდევ უფრო ინტეგრირებას. სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური ბაზრები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც ცხადად გვაჩვენა 2008 წლის კრიზისმა. აქედან გამომდინარე მეტ დატვირთვას იძენს სავალუტო ბაზრებისა და საერთაშორისო ფინანსური სისტემების წყობის შესწავლა. ამასთან, საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში, გლობალური ფინანსური კრიზისის (2008), რეგიონში არსებული არასტაბილური მდგომარეობის და ნავთობის ფასის შემცირების (2014) შედეგად გაცვლითი კურსის მერყეობა გაიზარდა.

გაცვლითი კურსის მერყეობის ეპიზოდებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ გაცვლითი კურსი არის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ფინანსურ სტაბილურობასა და სოციალურ კეთილდღეობაზე. გაცვლითი კურსის რყევა მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს ფირმებისათვის (Demirhan & Atis, 2013). ძირითადი კომპონენტი ფირმის აგრეგირებული მოთხოვნისათვის არის საქონლისა და მომსახურების იმპორტი და ექსპორტი, რომელზეც გავლენას ახდენს გაცვლითი კურსის არამდგრადობა (Were, Kamau, & Kisinguh, 2013). გაცვლითი კურსის ცვლილებასთან ერთად, ფასები, რომლებსაც აწესებენ ფირმები მეტად მომხიბლველი ან პირიქით მიუღებელი ხდება მომხმარებლისათვის. ფირმები, რომლებიც ჩართული არიან საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციებში, განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ გაცვლითი კურსის რყევებს, თუმცა ადგილობრივი ფირმებისთვისაც, რომლებიც არ არიან ჩართული საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციებში, აღნიშნული პრობლემა არც თუ ისე უმნიშვნელოა (Aggarwal & Harper, 2010).

ამის გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას იძენს გაცვლითი კურსის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, არსებული მეთოდოლოგიების განხილვა და ნომინალურ გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი, რათა მოხდეს

პოლიტიკის გამტარებლების ინფორმირება და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა.

კვლევის მიზანია გაცვლით კურსებზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი, ძირითადი მოდელების ანალიზი საქართველოს მაგალითზე. ამისათვის, გამოვყავით რამოდენიმე ძირითადი ამოცანა:

- პირველ რიგში, კვლევა აანალიზებს სხვადასხვა ფაქტორებს, ძირითად მაკროეკონომიკურ დეტერმინანტებს, რომლებიც გავლენას ახდენს სავალუტო კურსების ვოლატილობაზე. ამ ამოცანის შესასრულებლად, ჩატარდა გაცვლით კურსებზე მოქმედი მაკროეკონომიკური დეტერმინანტების გავლენასთან დაკავშირებული ლიტერატურის სიღრმისეული მიმოხილვა. აღნიშნული ლიტერატურის საფუძველზე განხილულია სხვადასხვა მეთოდოლოგიები და ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე გაანალიზებულია ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს გაცვლით კურსებზე.
- კვლევის მეორე ამოცანაა ეროვნული ვალუტის ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი. ამ ამოცანის შესასრულებლად, VAR მოდელის მეშვეობით მოხდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსისა და მასზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების (ექსპორტისა და იმპორტის სალდო, სამომხმარებლო ფასების ინდექსი) ანალიზი.
- კვლევის მესამე ამოცანაა გაცვლითი კურსების ურთიერთქმედების ანალიზი. ამისათვის არსებული მოძიებული მასალის საფუძველზე VAR მოდელით მოხდა 7 ძირითადი გაცვლითი კურსის ურთიერთქმედების ანალიზი.
- საბოლოო ამოცანაა სავალუტო კურსების მოდელირება. ამისათვის პირველ რიგში, კვლევა მოძიებული მასალის საფუძველზე აანალიზებს მონაცემებს, რის შემდეგაც ავაგეთ მოდელები (RW ანუ შემთხვევითი ხეტიალის და PPP მოდელები), რომლებიც ფართოდ გამოიყენება გაცვლითი კურსების მოდელირებისათვის და ეკონომეტრიკული ანალიზის საფუძველზე შევუსაბამეთ მოდელები საქართველოს მონაცემებს.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ძირითადი მაკროეკონომიკური თეორიები, თეორიული და ემპირიული ნაშრომები. ამასთან, მიმოვიხილეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (International Monetary Fund), საქართველოს ეროვნული ბანკისა და დანიის ეროვნული ბანკის (Danske Bank) ანგარიშები.

ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსზე მოქმედი ფაქტორებისა და გაცვლითი კურსების ურთიერთქმედების ანალიზისათვის გამოვიყენეთ ვექტორული ავტორეგრესიული მოდელები. VAR მოდელის უპირატესობაა გაითვალისწინოს ცვლადების დროითი მწკრივი და ერთდოულად შეაფასოს ცვლადების ურთიერთკავშირი. ამასთან, გაცვლითი კურსების მოდელირებისათვის გამოვიყენეთ შემთხვევითი ხეტიალისა და მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მოდელები. აღსანიშნავია, რომ ფინანსებში საყოველთაოდ მიღებულია თეზისი გაცვლითი კურსების პროგნოზირებადობის შესახებ შემთხვევითი ხეტიალის მოდელის მეშვეობით (Austin & Dutt, 2014). ჰუბერის (2016) მიხედვით „გაცვლითი კურსების პროგნოზირება საერთაშორისო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო 80-იანი წლებიდან, როდესაც მეიზმა და როგოფმა (1983) დაასკვნეს, რომ შემთხვევითი ხეტიალის მოდელის გარდა არც ერთ სტრუქტურულ მოდელს არ შეეძლო მოკლევადიანი პროგნოზის გაუმჯობესება“ (p. 193).

აღნიშნული ანალიზის ჩასატარებლად გამოვიყენეთ შემდეგი პროგრამული უზრუნველყოფა: MS Office Excel, EViews, STATA. საინფორმაციო ბაზად გამოვიყენეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა ბაზები.


თავი I. სავალუტო კურსების მოდელირების თეორიული ასპექტები

1.1. სავალუტო კურსების განვითარების ისტორია

გაცვლითი კურსი წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ვალუტების ფარდობით ფასს, რაც თავისუფალი მცურავი კურსის რეჟიმის პირობებში ბაზარზე ვალუტაზე მოთხოვნისა და მიწოდების საშუალებით განისაზღვრება. გარდა ამ ფაქტორებისა, მოკლევადიან პერიოდში მნიშვნელოვანია ბაზრის მონაწილეთა მოლოდინები და სხვა მოკლევადიანი ფაქტორები, რომლებიც იწვევს მის მერყეობას.

სავალუტო კურსებმა იმისათვის, რომ ჩამოყალიბებულიყო იმ სახით რა სახითაც დღეს გვაქვს მოცემული, საკმაოდ გრძელი ისტორია განვლო. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ვებ გვერდზე წარმოდგენილი კლასიფიკაციების მიხედვით, არსებობს გაცვლითი კურსის რეჟიმების ოთხი ძირითადი ტიპი და ამ ოთხ ძირითად ტიპში გაერთიანებულია 10 კატეგორია, თუმცა მსგავსი დაყოფა ფორმალურ ხასიათს ატარებს და მკაცრად ამ მეთოდით კლასიფიცირება არ არის განსაზღვრული.

ნახ.1 გაცვლითი კურსების რეჟიმების კლასიფიკაცია



წყარო: IMF, <https://www.imf.org/external/np/mfd/er/2004/eng/0604.htm>

მსგავსი დაყოფა კატეგორიებად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოქნილია იგი, შესაბამისად კლასიფიკაცია იწყება მკაცრად ფიქსირებული კურსებიდან და შემდგომში გადადის შუალედურ და მცურავ რეჟიმებზე და ბოლოს სხვა მართვად მექანიზმებზე.

გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო ეკონომიკური ვითარება დროთა განმავლობაში იცვლებოდა, შესაბამისად გაცვლითი კურსის რეჟიმებმა მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. მაგალითად თუ მეოცე საუკუნეში საუბარი იყო ოქროს სტანდარტის შემოღებაზე, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ქვეყნების დიდი ნაწილი მოქნილ გაცვლით კურსზე მსჯელობდა.

გაცვლითი კურსის რეჟიმებს შორის ერთ-ერთი უძველესი ოქროს სტანდარტია. მთელი მსოფლიოს ფინანსური სისტემა, პირველ მსოფლიო ომამდე, აწყობილი იყო ოქროს სტანდარტზე. ამასთან, არსებობდა რეჟიმები, რომლებიც სხვადასხვა ძვირფას მეტალს იყენებდნენ, ასევე არსებობდა რეჟიმები, რომლებიც იყენებდა ორი სხვადასხვა მეტალის კომბინაციას, რაც ცნობილია, როგორც ბიმეტალიზმი. თუმცა ამ რეჟიმებიდან ფართოდ მხოლოდ ოქროს სტანდარტმა დაიმკვიდრა ადგილი. ოქროს სტანდარტის პირობებში ვალუტები ერთმანეთის მიმართაც ინარჩუნებდნენ ფიქსირებულ კურსს, ვინაიდან ვალუტების ძირითადი ნაწილი პირდაპირ კონვერტირებადი იყო ოქროში წინასწარ მიღებული ფიქსირებული განაკვეთით. ცხადია, ამგვარი რეჟიმის პირობებში იზღუდებოდა ქვეყნის მონეტარული დამოუკიდებლობა და ფულის მიწოდება განისაზღვრებოდა ოქროს მარაგებით ქვეყანაში, ანუ ოქროს მიმოქცევით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ოქროს სტანდარტმა რყევა განიცადა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბოლოოდ გაუქმდა. ოქროს სტანდარტი ჩაანაცვლა ბრეტონ ვუდსის სისტემამ, რომელიც გულისხმობს ვალუტის კურსების ფიქსირებას დოლარის მიმართ, სხვანაირად რომ ვთქვათ, დოლარი გახდა ე.წ. სარეზერვო ვალუტა, რომელიც კონვერტირებადი იყო ოქროთი. ბრეტონ ვუდსის სისტემამ დაახლოებით 30 წელიწადს იარსება. ბრეტონ ვუდსის სისტემაზე დამყარებული ოქროს სტანდარტი საბოლოოდ 1971 წელს გაუქმდა. მას შემდეგ რაც გამოვლინდა ფიქსირებული გაცვლითი კურსის პრობლემები, დაიწყო გაცვლითი

კურსის ახალი რეჟიმების გამოჩენა, მათ შორის სრულიად ახალი რეჟიმი, მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი გამოჩნდა ასპარეზზე.

1.2. სავალუტო კურსების მაკროეკონომიკური დეტერმინანტები

მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე, სხვადასხვა კვლევების მეშვეობით შესწავლილი იქნა გაცვლითი კურსების დეტერმინანტები, რომლებიც იწვევს გაცვლითი კურსების მერყეობას (Bhanja, Dar, & Tiwari, 2015; Were, Kamau, & Kisinguh, 2013). კვლევებმა აჩვენა, რომ სავალუტო კურსები, რომლებიც მაკროეკონომიკურ ფუნდამენტებს უკავშირებენ, ხელს უწყობენ გლობალურ დისბალანსს (ჩენ, 2014). დორნბუმის (1976) ხისტი ფასის მონეტარული თეორია გვიჩვენებს, რომ გაცვლითი კურსის ცვალებადობა შეესაბამება რაციონალურ მოლოდინებს. ხისტი ფასების თეორია ასევე ხსნის სავალუტო კურსების არასტაბილურობას და გადახრას მსყიდველობითი პარიტეტიდან (Datta & Mukhopadhyay, 2014). მიუხედავად იმისა, რომ გაცვლითი კურსის რისკებთან დაკავშირებულ საკითხებზე არსებობს სხვადასხვა კვლევები, მკვლევარები კონსენსუსს ვერ აღწევენ გაცვლითი კურსის არასტაბილურობაზე მონეტარული ცვლადების გლობალური ეფექტების შესახებ (Moslares & Ekanayake, 2015).

გაცვლითი კურსების დინამიკის გასაანალიზებლად, მნიშვნელოვანია განვიხილოთ მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ გაცვლით კურსებს. სავალუტო გაცვლით კურსებზე, ბუნებრივია, სხვადასხვა მაკროეკონომიკური ფაქტორები მოქმედებს, როგორც პირდაპირ ასევე ირიბად. ძირითადად გაცვლით კურსებზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: საერთაშორისო ვაჭრობა, ფულის მიწოდება, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი, უცხოური ინვესტიციები, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და მიმდინარე ანგარიშების ბალანსი და ა.შ.


იმის საჩვენებლად, თუ როგორ მოქმედებენ განსხვავებული ფაქტორები გაცვლით კურსებზე, განვიხილოთ თითოეული მათგანი სხვა თანაბარ პირობებში. ბუნებრივია, რეალურ ეკონომიკაში ყველა ფაქტორი ერთდროულად მოქმედებს

გაცვლით კურსებზე, მიუხედავად ამისა, მათი გავლენის ხარისხი უწყვეტად იცვლება (Madura and Fox 2007).

გაცვლითი კურსები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც პროდუქტების ფასი, რომელიც განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდების დონით. მაგალითად, თუ მოცემულ ვალუტაზე მოთხოვნა შედარებით მაღალია სხვა ვალუტასთან დაკავშირებით, ამ ვალუტის ფასი გაიზრდება და პირიქით, შემცირდება, თუ მოთხოვნა დაბალია. როდესაც მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთის ტოლია, გაცვლითი კურსები არიან წონასწორულ მდგომარეობაშია. აღსანიშნავია, რომ გაცვლითი კურსები არ ინარჩუნებენ ერთსა და იმავე წონასწორობას დროის სხვადასხვა პერიოდში, მათზე აისახება მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილება. რადგან ნაშრომში ვაანალიზებთ ლარისა და სხვადასხვა ვალუტების კავშირს, შემდეგში არსებული მსჯელობის განმავლობაში, დავუშვათ, რომ გაცვლით კურსად გამოვიყენებთ Gel/EUR.

ქვემოთ მოყვანილ გრაფიკ 1.1-ში წარმოდგენილია მოთხოვნა-მიწოდების კავშირი. როდესაც ევროს ფასი ეცემა, P_0 -დან P_1 -მდე, ევროზე მოთხოვნა იზრდება. ფასების დონის ამ პირობებში ევროზე მიწოდებასა (X_1) და მოთხოვნას (X_2) შორის გვაქვს სხვაობა, რომელიც ($X_2 - X_1$)-ის ტოლია. ფასების ამ დონეზე ევროს ფასი მიისწრაფვის წონასწორული მდგომარეობისაკენ (E), სადაც მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთის ტოლია.

გრაფიკი 1.1 მოთხოვნა-მიწოდება



წყარო: International Financial Management, Abridged 10th Edition Jeff Madura

წონასწორული ფასების დონე და მოთხოვნისა და მიწოდების რაოდენობა განუწყვეტლივ იცვლება. მადურასა და ფოქსის (2007) მიხედვით, ეს ცვლილებები შესაძლებელია აიხსნას შემდეგი ხუთი მაკროეკონომიკური ცვლადის მიხედვით, რომელიც მოყვანილია ქვემოთ მოცემულ განტოლებაში:

$$e = f(\Delta INF, \Delta INT, \Delta INC, \Delta GC, \Delta EXP)$$


სადაც e წარმოადგენს სპოტ კურსის პროცენტულ ცვლილებას, ΔINF ორი ქვეყნის ვალუტებს შორის ინფლაციური დიფერენციალის ცვლილებას, ΔINT წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების დიფერენციალს ორ ქვეყანას შორის, ΔINC გვიჩვენებს შემოსავლის დონის ცვლილების დიფერენციალს ორ ქვეყანას შორის, ΔGC სახელმწიფო კონტროლის ცვლილებას, ხოლო ΔEXP წარმოადგენს ცვლილებას მომავალი ვალუტის ღირებულების შესახებ მოლოდინებს შორის.

განვიხილოთ თითოეული მაჩვენებელი ცალ-ცალკე:

1. ინფლაცია - განისაზღვრება, როგორც „უწყვეტი ზრდა ძირითად ფასების დონეში. ინფლაცია შეგვიძლია გავაიგივოთ ფულის ღირებულების ვარდნასთან, რაც ნიშნავს, რომ ფულის მოცემული რაოდენობით შესაძლებელია იმაზე ნაკლები კეთილდღეობის მიღება, ვიდრე შესაძლებელი იყო ადრე.“ (Norges Bank, 2011). ეს

ნიშნავს, რომ ვალუტის ერთეულის მსყიდველობითი უნარი კლებულობს ინფლაციის პარალელურად. მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილება აისახება მრუდებზე, რის შედეგადაც წონასწორული გაცვლითი კურსი იცვლება, ლარი გაუფასურდება ევროსთან მიმართებაში. სწორედ ინფლაციის დონე არის მსყიდველობით უნარიანობის პარიტეტის (PPP) თეორიის საფუძველი. თეორიის, რომელიც გამოიყენება გაცვლითი კურსების განსაზღვრისათვის.

გრაფიკი 1.2 ინფლაციის გავლენა გაცვლით კურსზე




წყარო: International Financial Management, Abridged 10th Edition Jeff Madura

- სხვადასხვა კვლევები გვიჩვენებს, რომ განვითარებად ქვეყნებში საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინოს სავალუტო კურსებზე, Afzal and Hamid (2013). საპროცენტო განაკვეთები არის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმი, რომელსაც ცენტრალური/ეროვნული ბანკები იყენებენ ეროვნული ეკონომიკის კონტროლისა და რეგულირებისათვის. იგი ასევე წარმოადგენს გაცვლითი კურსების ერთ-ერთ მთავარ მმართველ მექანიზმს. დავუშვათ მოცემულ ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთი მოულოდნელად იზრდება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს უცხო ქვეყნის მხრიდან ინვესტირება

მოცემული ქვეყნის საპროცენტო განაკვეთის სტაბილურობის უსაფრთხოებაში. ფარდობითად მაღალი ინვესტიციები გაზრდის ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნას უცხო ქვეყნის მხრიდან. ეროვნული ვალუტის მიწოდება შემცირდება, რადგან არსებობს ძლიერი სტიმული ადგილობრივი ინვესტორებისათვის, რათა მათ განახორციელონ ინვესტირება ეროვნულ საქმეში. შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში, გაცვლითი კურსი წონასწორული ფასიდან (P_0), გადადის ახალ წონასწორულ მდგომარეობაში, სადაც P_1 წარმოადგენს ახალ წონასწორულ ფასს. შესაბამისად ეროვნული ვალუტის ღირებულება ევროსთან მიმართებაში იზრდება.

გრაფიკი 1.3 საპროცენტო განაკვეთის გავლენა გაცვლით კურსზე



კვიციანი, international financial management, სტუდენტის სახელით

მადურასა და ფოქსის (2007) მიხედვით, გაცვლითი კურსები ორ ქვეყანას შორის შესაძლოა ასევე შეიცვალოს მესამე ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით. საპროცენტო განაკვეთით გაცვლითი კურსების პროგნოზირებას საფუძვლად უდევს საპროცენტო განაკვეთების პარიტეტის თეორია.

3. შემოსავლების დონე - მადურასა და ფოქსის მიხედვით ქვეყნის ფარდობითი შემოსავლები (ეროვნული შემოსავალი) მიიჩნევა ერთ-ერთ ფაქტორად, რომელიც

გავლენას ახდენს გაცვლით კურსებზე. ეს გამოწვეულია იმით, რომ შემოსავლებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს იმპორტირებულ საქონელზე. თუ ქვეყანაში რეალური შემოსავლების დონე (ინფლაციით კორექტირებული) იზრდება, შესაბამისად იზრდება მოხმარება. გაზრდილი მოხმარების ნაწილი სავარაუდოდ, მოდის უცხოურ საქონელზე მოთხოვნის ზრდიდან (მარგინალური გადახრა იმპორტიდან). სხვა თანაბარ პირობებში, ეფექტი გამოიხატება უცხოურ ვალუტაზე ზრდის მიმართულებით მოქმედებით. ფარდობითი შემოსავლის ზრდამ და შემდგომმა ზრდამ მოხმარებაში შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკის გადახურება. ამ გადახურებისა და გაზრდილი ინფლაციის თავიდან ასაცილებლად ცენტრალურ ბანკს შეუძლია გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გაზრდილმა შემოსავლების დონემ შესაძლოა გავლენა მოახდინოს საპროცენტო განაკვეთზე და ინფლაციაზე, რომლებიც თავის მხრივ გავლენას ახდენს გაცვლით კურსებზე (მადურა და ფოქსი, 2007).

4. სამთავრობო კონტროლი - მადურა და ფოქსი (2007) კამათობდნენ იმის შესახებ, რომ მთავრობას შეეძლო უცხოურ გაცვლით ოპერაციებზე, უცხოურ სავაჭრო ბაზარზე ბარიერის დაწესებით ან საბაზრო ინტერვენციების განხორციელების გზით გავლენა ჰქონოდა ქვეყნის გაცვლით კურსებზე. მთავრობას შეუძლია ჩაერიოს ბაზრის ფუნქციონირებაში როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად. პირდაპირი ინტერვენციების ეფექტი დამოკიდებულია სამთავრობო რეზერვების რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა მნიშვნელოვანი ბიძგისთვის. თუ მთავრობა ახორციელებს არაპირდაპირ ინტერვენციებს, ამან შესაძლოა აისახოს გაცვლით კურსზე, სხვა მაკროეკონომიკურ ცვლადებზე მოხდენილი გავლენის მეშვეობით, მაგალითად ინფლაციის, საპროცენტო განაკვეთის, შემოსავლების დონის, სამთავრობო კონტროლისა და მომავალში არსებული გაცვლითი კურსების შესახებ მოლოდინების სახით.
5. მოლოდინები - უცხოური გაცვლითი კურსების ბაზარი, ისევე როგორც საქონლის ბაზარი, რეაგირებს ახალ ინფორმაციაზე. მაგალითად, მოულოდნელად არსებული მაღალი ინფლაცია გამოიწვევს სავაჭრო

სუბიექტების მიერ ეროვნული ვალუტის გაყიდვას, რადგან მათ უზნდებათ იმის მოლოდინი, რომ მომავალში ფულის ღირებულება იმაზე ნაკლები იქნება ვიდრე დღეს.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ანალიზისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენა და ამ ცვლადების მიმართ მგრძობიარობა ყველა ქვეყნისათვის ჰომოგენური არ არის. მაგალითად, ევროსთან შედარებით, ლარი განსხვავებულად რეაგირებს სხვადასხვა ცვლადებზე.

1.3. ბალასა-სამუელსონის ეფექტი

ბალასა-სამუელსონის ეფექტის მოდელი შეიქმნა 1964 წელს, ბელა ბალასასა და პოლ სამუელსონის მიერ დამოუკიდებლად. ბალასა-სამუელსონის ეფექტის მოდელი აღწერს განსხვავებას განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო და არასავაჭრო სექტორებში შედარებით მწარმოებლურობაში.

განვიხილოთ ორსექტორიანი ეკონომიკა და აღნიშნული სპეციფიკური ფაქტორების მოდელი. დავუშვათ ერთი სექტორია სავაჭრო სექტორი, ხოლო მეორე არასავაჭრო. ამასთან, დავუშვათ, რომ არასავაჭრო სექტორში ტექნოლოგიური დონე ქვეყნებს შორის ერთნაირია.

განვიხილოთ სამი საქონლისაგან შემდგარი მოდელი. სარგებლიანობის ფუნქცია ტიპური მომხმარებლისათვის მოცემულია, როგორც:

$$U(C_x, C_y, C_n) \quad (1.1)$$

სადაც C_n არის არასავაჭრო საქონლის მოხმარების სიდიდე, C_x და C_y არის სავაჭრო საქონლის მოხმარება. ამასთან, C_x არის საექსპორტო სექტორში წარმოებული საქონლის მოხმარება, ხოლო C_y კი არის იმპორტირებული საქონლის მოხმარება, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ საქონლის მოხმარება, რომელიც არ იწარმოება მოცემულ ქვეყანაში.

დავუშვათ, x საქონელზე საწარმოო ფუნქცია განისაზღვრება კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქციის ერთ-ერთი სახესხვაობით:

$$Y = A_x F_x(K_x, L_x) = A_x L_{xj}^\alpha K_{xj}^{1-\alpha} \quad (1.2)$$

სადაც A_x არის პარამეტრი, რომელიც წარმოადგენს x , სავაჭრო სექტორის მწარმოებლურობას, α და $1 - \alpha$ შესაბამისად შრომისა და კაპიტალის ელასტიკურობებია გამოშვების მიმართ.

არასავაჭრო სექტორისთვის საწარმოო ფუნქცია კი შემდეგი სახით განვსაზღვროთ:

$$F_n(K_n, L_n) \quad (1.3)$$

K_x და K_n წარმოადგენს საწარმოო სექტორში გამოყენებული კაპიტალის რაოდენობას, შესაბამისად სავაჭრო და არასავაჭრო სექტორში. ხოლო L_x და L_n კი შესაბამისად სავაჭრო და არასავაჭრო სექტორში გამოყენებული შრომითი რესურსების მოცულობა. ამასთან, გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ კაპიტალი არამობილური ფაქტორია, ანუ კაპიტალი ერთი სექტორიდან მეორეში არ გაედინება, ხოლო შრომა მობილური ფაქტორია და სამართლიანია შემდეგი ტოლობა:

$$L_x + L_n = \bar{L} \quad (1.4)$$

ფასები x და y საქონლისათვის განისაზღვრება საერთაშორისო ბაზრებისთვის და მოცემულობას წარმოადგენს. არასავაჭრო სექტორში წარმოებული პროდუქციის ფასები განისაზღვრება მშობლიურ ქვეყანაში მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. ბუნებრივია, მოთხოვნა არასავაჭრო სექტორში გრაფიკულად დაღმავალი წირით გამოისახება, ხოლო მიწოდება აღმავალი წირით. ხელფასების დონეც განისაზღვრება ასევე შრომის ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე, ამასთან ვთვლით, რომ შრომის მიწოდების მრუდი ვერტიკალურია.

ეკონომიკის მწარმოებლურობის კუთხით, ორივე სექტორი ცდილობს სარგებლის მაქსიმიზაციას, ანუ, უნდა შევარჩიოთ ფაქტორების ოპტიმალური რაოდენობა შესაბამისი მაქსიმიზაციის ფუნქციის ამოხსნით. ფასების დონე x სექტორისათვის აღვნიშნოთ p_x , ხოლო ფასების დონე არასავაჭრო სექტორში აღვნიშნოთ p_n . ხელფასის დონე აღვნიშნოთ w_x -ით სავაჭრო სექტორში და w_n -ით არასავაჭრო სექტორში:

$$\max_{L,K} (p_{xj} A_{xj} L_{xj}^\alpha K_{xj}^{1-\alpha} - w_x L_{xj} - R K_{xj}) \quad (1.5)$$

განვიხილოთ პირველი რიგის პირობები:

$$\alpha p_{xj} A_{xj} L_{xj}^{\alpha-1} K_{xj}^{1-\alpha} - w_x = 0 \quad (1.6)$$

შევვიძლია აღნიშნული ტოლობა გარდავქმნათ:

$$w_x = \alpha p_{xj} A_{xj} \left(\frac{L_{xj}}{K_{xj}} \right)^{\alpha-1} \quad (1.7)$$

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შრომის ზღვრული პროდუქტი ტოლია საწარმოო ფუნქციის წარმოებულისა შრომის მიმართ, მაშინ შრომის ზღვრული პროდუქტი სავაჭრო სექტორისათვის ტოლი იქნება:

$$MPL_x = p_x A_x \frac{\Delta F_x(K_x, L_x)}{\Delta L_x} \quad (1.8)$$

ხოლო არასავაჭრო სექტორისათვის შრომის ზღვრული პროდუქტი იქნება:

$$MPL_n = p_n \frac{\Delta F_n(K_n, L_n)}{\Delta L_n} \quad (1.9)$$

ზემოთ მოყვანილი ფორმულებიდან ცხადია, რომ მარჯვენა მხარეს მდგარი გამოსახულება შრომის ზღვრული პროდუქტია, ხოლო მარცხენა მხარე ხელფასების დონე. რაც გულისხმობს იმას, რომ შრომის ზღვრული პროდუქტი უნდა უდრიდეს ხელფასების დონეს.

$$p_x A_x \frac{\Delta F_x(K_x, L_x)}{\Delta L_x} = w_x \quad (1.10)$$

$$p_n \frac{\Delta F_n(K_n, L_n)}{\Delta L_n} = w_n \quad (1.11)$$

შრომის ზღვრულ პროდუქტთან მიმართებაში, როდესაც L_n იზრდება, მაშინ $\frac{\Delta F_n(K_n, L_n)}{\Delta L_n}$ შეფარდება შემცირდება, ანალოგიურად, w/p_n შეფარდებაც მცირდება. სხვა თანაბარ პირობებში, p_n -ის ზრდის შედეგად, არასავაჭრო სექტორში შრომაზე მოთხოვნა იზრდება და არასავაჭრო სექტორში გამოყენებული შრომის რაოდენობაც იზრდება. ამის შედეგად, არასავაჭრო საქონლის მიწოდება იზრდება, რაც აისახება არასავაჭრო საქონლის მიწოდების ფუნქციაზეც, რომელიც არის p_n -ის ზრდადი ფუნქცია.

დავუშვათ, სავაჭრო სექტორში A_x პარამეტრი, რომელიც წარმოადგენს x , სავაჭრო სექტორის მწარმოებლურობას, იზრდება. შედეგად, $p_n A_x MPL_x$ მრუდი ზემოთ გადაიწევეს. შესაბამისად, მეტი სამუშაო ძალა გადანიაცვლებს სავაჭრო სექტორში.

მაშასადამე, იმისდა მიუხედავად, არასავაჭრო სექტორში ფასები შეიცვლება თუ არა, არასავაჭრო სექტორში საქონლის მიწოდება შემცირდება. შესაბამისად არასავაჭრო საქონლის მიწოდების მრუდი მარცხნივ გადანიაცვლებს და საბოლოოდ, არასავაჭრო საქონლის ფასი გაიზრდება.

თუ გავითვალისწინებთ ხელფასების ჰომოგენურობას სხვადასხვა სექტორს შორის, $w_x = w_n = w$, კავშირი ფარდობით ფასებსა და ფარდობით მწარმოებლურობას შორის სავაჭრო და არასავაჭრო სექტორში შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

$$\frac{p_n}{p_x} = \frac{\alpha_x \frac{Y_x}{L_x}}{\alpha_n \frac{Y_n}{L_n}} \quad (1.12)$$

აღნიშნული იგივეობა გაანგარიშებულია მშობლიური ქვეყნისათვის. თუ იგივე გაანგარიშებებს ჩავატარებთ უცხოური ქვეყნისათვის და ამ ორ გამოსახულებას შევაფარდებთ, ეს ქმედება მიგვიყვანს ბალასა-სამუელსონის საბაზისო მოდელამდე:

$$\frac{p_n}{p_x} \bigg/ \frac{p_n^*}{p_x^*} = \frac{\frac{\alpha_x \frac{Y_x}{L_x}}{\alpha_n \frac{Y_n}{L_n}}}{\frac{\alpha_x^* \frac{Y_x^*}{L_x^*}}{\alpha_n^* \frac{Y_n^*}{L_n^*}}} \quad (1.13)$$

თუ დაშვებას ხელფასების ჰომოგენურობის შესახებ არ გავითვალისწინებთ, მაშინ მივიღებთ ბალასა-სამუელსონის გაფართოებულ მოდელს:

$$\frac{p_n}{p_x} \bigg/ \frac{p_n^*}{p_x^*} = \left(\frac{\frac{\alpha_x \frac{Y_x}{L_x}}{\alpha_n \frac{Y_n}{L_n}}}{\frac{\alpha_x^* \frac{Y_x^*}{L_x^*}}{\alpha_n^* \frac{Y_n^*}{L_n^*}}} \right) * \left(\frac{\frac{w_n}{w_x}}{\frac{w_n^*}{w_x^*}} \right) \quad (1.14)$$

რეალურ გაცვლით კურსთა მიმართებაში, ბალასა-სამუელსონის ეფექტი უკავშირდება რეალურ გაცვლით ეფექტურ ტრენდს. მისი მიხედვით, თუ არასავაჭრო სექტორში მშობლიურ ქვეყანას უფრო მეტად ეზრდება ვიდრე უცხოურ ქვეყანას, ძირითად სავაჭრო პარტნიორს, მაშინ რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გრძელვადიან პერიოდში უნდა გამყარდეს.

თავი II. სავალუტო კურსის ვოლატილობის მოდელირების ეკონომეტრიკული მიდგომები

2.1. შემთხვევითი ხეტიალის მოდელი

შემთხვევითი ხეტიალი წარმოადგენს დროით მწკრივს, რომლის ცვლილება პერიოდებს შორის დროში არა სტაციონარულია (Newbold and Bos, 1994). დროითი მწკრივი სტაციონარულია, თუ მისი საშუალო და ვარიაცია მუდმივია დროში და მისი ავტოკორელაცია კი დამოკიდებულია მხოლოდ მის ლაგებზე. აქედან გამომდინარე, სტაციონარული დროითი მწკრივებისათვის საშუალო, ვარიაცია და ავტოკორელაცია დროისგან დამოუკიდებელია (Everett, 1997). გარდა ამისა, ცვლილებების ზომა და მიმართულება დამოუკიდებელია და შემთხვევითად არის არჩეული ნორმალური განაწილებიდან.

2.1.1. შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზის თეორიული ჩარჩო

ეფექტური ბაზრის ჰიპოთეზა (EMH) ამტკიცებს, რომ ეფექტური ბაზარში, აქტივების ფასები სრულად ასახავს ინფორმაციას მათ შესახებ, აქედან გამომდინარე კი ინვესტორებს არ შეუძლიათ გამოიმუშაონ ძალიან დიდი მოგება¹. სხვაგვარად რომ ვთქვათ, EMH ემორჩილება შემთხვევით ხეტიალს, სადაც ფასების ცვლილებას აქვს ნულოვანი კორელაცია². ეს თეორია ცნობილია, როგორც შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზა. EMH-დან გამომდინარე, უცხოური გაცვლითი კურსების წარმოდგენა შეიძლება შემთხვევითი ხეტიალის პროცესით³.

¹ Farma (1970), Peirson, Bird, Brown & Howard 1995

² Trippi & Lee 1996

³ Diebold & Nason 1990

დავუშვათ, y_t არის გაცვლითი კურსი t პერიოდისათვის. შემთხვევითი ხეტიალის მოდელი შესაძლებელია წარმოვადგინოთ, როგორც:

$$y_t = \delta + y_{t-1} + \varepsilon_t \quad (2.1)$$

სადაც δ წარმოადგენს დრეიფის პარამეტრს, ხოლო ε_t არის თეთრი ხმაურის პროცესი.

უცხოურ გაცვლით ბაზრებზე ტერმინი „შემთხვევითი ხეტიალი“ გაიგივებულია ფინანსური ფასების შემთხვევით ცვლილებასთან, მაგალითად, გაცვლით კურსებთან, სადაც ფასები არ არის დამოკიდებული წარსულ მოვლენებზე და მთლიანად მიჰყვება შემთხვევით სურათს. ფინანსურ ბაზრებზე შემთხვევითი ხეტიალის არსებობა ამტკიცებს, რომ მიმდინარე ფასები არ არის დამოკიდებული წარსულ ფასზე და ამასთან, ბაზარი ეფექტურია.

2.1.2. შემთხვევითი ხეტიალის მარტივი თეორიული მოდელი

შემთხვევითი ხეტიალის ჩვეულებრივ (2.1) მოდელთან ერთად, გამოიყენება ასევე შემთხვევითი ხეტიალის მარტივი თეორიული მოდელი.

შემთხვევითი ხეტიალის მარტივი თეორიული მოდელი აღწერს მიმდინარე დღიური გაცვლითი კურსის ცვლილებას, წინა დღის გაცვლით კურსთან და ნარჩენობით წევრთან (ხმაურის პარამეტრთან) მიმართებაში. უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევითი ხეტიალის ჩარჩოში არცერთი სტრუქტურული მოდელი პროგნოზისათვის გამოსადეგი არ არის. თეორიულ მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$s_t = s_{t-1} + u_t \quad (2.2)$$

სადაც, s_t წარმოადგენს ნომინალური გაცვლითი კურსს, მაგ. დოლარის ღირებულებას ეროვნულ ვალუტაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაცვლითი კურსი არის ეროვნული ვალუტის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ერთი დოლარის შესაძენად. u_t კი წარმოადგენს ნარჩენობით წევრს.

2.1.3. ლო-მაკ-კინლის ვარიაციის კოეფიციენტების ტესტი

პოტერბამ და სამერსმა (1988) და ლო და მაკ-კინლიმ (1988) მიაგნეს შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზის შესამოწმებელი VR (ვარიაციის კოეფიციენტების ტესტი) ტესტის საფუძველს. ლიუ და ჰიმ (1991) შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზის შესამოწმებლად VR ტესტით, გამოიყენეს ყოველკვირეული ნომინალური გაცვლითი კურსის მონაცემების ხუთი წყვილი (კანადური დოლარი, ბრიტანული ფუნტი, იაპონური იენი, ფრანგული ფრანკი და ჰოლანდიური მარკა, ამერიკულ დოლართან მიმართებაში). მონაცემები მოიცავდა პერიოდს 1974 წლის 7 აგვისტოდან, 1989 წლის 29 მარტამდე. შედეგად, ხუთიდან ოთხი გაცვლითი კურსის შემთხვევაში ჰიპოთეზა შემთხვევითი ხეტიალის შესახებ უარყოფილ იქნა. ჩენმა (2009) გამოიკვლია შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზა წყნარი ოკეანის აუზის 10 უცხოური გაცვლითი ბაზრებისათვის და ანალოგიურად უარყო ჰიპოთეზა შემთხვევითი ხეტიალის შესახებ. ლოსა და მაკ-კინლის (1988) კვლევა საფუძველი აღმოჩნდა VR ტესტის მიახლოებისათვის და ეს კვლევა ჯერ კიდევ ყველაზე მნიშვნელოვან კვლევად ითვლება შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზის შემოწმებისათვის, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტესტი ყურადღებას ამახვილებს ერთი ვარიაციის წილის ტესტირებაზე ერთი დაკვირვების ინტერვალისათვის და წარმოადგენს ინდივიდუალური ჰიპოთეზის ტესტს. სხვა მკვლევარები (ჩოუ და დენინგი, 1993) მიიჩნევენ, რომ შემთხვევითი ხეტიალის ტესტირებისათვის არსებული ტესტი დაფუძნებული უნდა იყოს მრავალმხრივ შესადარის ვარიაციების წილების მიმდევრობაზე, რათა მოხდეს ტესტირების სტატისტიკის მთლიანი სიდიდის კორექტირება, რაც მოითხოვს ერთობლივი ჰიპოთეზის ტესტირებას.

ვარიაციის კოეფიციენტების ტესტისათვის კეთდება დაშვება, რომ თუ გაცვლითი კურსები ემორჩილება შემთხვევით ხეტიალს, მაშინ მისი n რიგის დიფერენციალი ($n > 1$), იქნება n -ჯერ პირველი რიგის დიფერენციალი. აქედან გამომდინარე, თუ s_t წარმოადგენს შემთხვევითი ხეტიალის პროცესს, მაშინ:

$$VAR(s_t - s_{t-n}) = n(VAR(s_t - s_{t-1})) \quad (2.3)$$

ლო და მაკკინლიმ (1988), შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზის ნულოვანი ჰიპოთეზის ტესტირებისათვის, გამოიყენა შემდეგი ფორმულა:

$$VR(n) = \frac{1}{n} \left(\frac{VAR(s_t - s_{t-n})}{VAR(s_t - s_{t-1})} \right) = 1 \quad (2.4)$$

(2.4) განტოლება გამოიყენება როგორც ჰომოსკედასტური, ასევე ჰეტეროსკედასტური ვარიაციის შემთხვევაში. თუ $VR(n) < 1$, ეს მიუთითებს უარყოფითი სერიული კორელაციის არსებობაზე. თუ $VR(n) > 1$, ეს მიუთითებს დადებით სერიულ კორელაციაზე. ლო-მაკკინლიმ გამოიყვანეს სტანდარტული ნორმალური ტესტის სტატისტიკა, $Z(n)$, რომელიც გვიჩვენებს ვარიაციის კოეფიციენტის სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას, ისევე როგორც მისი ალტერნატიული სტატისტიკა.

$$Z(n) = \frac{VR(n) - 1}{(\varphi(n))^{1/2}} \quad (2.5)$$

სადაც φ არის ვარიაციის წილი.

2.2. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (PPP) მოდელი

2.2.1. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორია და PPP თავსატეხი

მსყიდველობითი უნარის პარიტეტი არის გაცვლით კურსი ორ ვალუტას შორის, რომელიც დამოკიდებულია ორი შესაბამისი ქვეყნის ფასების დონეების ფარდობაზე.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის კონცეფცია ფართოდ გამოიყენება ვალუტათა წონასწორული ფასის დასადგენად და ხშირ შემთხვევაში არის ერთადერთი გზა რომელსაც ეკონომისტები პირველ რიგში მიმართავენ მაშინ როდესაც დგება ვალუტის გაუფასურების ან გამყარების საკითხი. PPP თეორია ასევე საფუძვლად უდევს სხვა გაცვლითი კურსის მოდელებს, როგორცაა მონეტარული მოდელი. PPP-ს მიმართ დიდ ინტერესი ჩნდება მას შემდეგ რაც გამოჩნდა ახალი ეკონომეტრიკული მიდგომები, როგორებიცაა კონტეგრაცია და არა სტაციონარული პანელური მეთოდები და ამ მეთოდების შესაბამისი მიდგომების გამოყენება PPP-ში. უკანასკნელ პერიოდში ამ თეორიაში გაჩნდა ახალი გამოწვევა, ეგრეთ წოდებული PPP-თავსატეხი

(Rogoff, 1996). მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თავსატეხი წარმოადგენს მოკლევადიან პერიოდში რეალური გაცვლითი კურსის ძალიან მაღალი რყევადობის რეგულირების პრობლემას ძალიან ნელი ტემპებით საშუალო მაჩვენებლისაკენ დაბრუნებაში.

ტერმინი „მსყიდველობითი უნარის პარიტეტი“ დამკვიდრდა დაახლოებით 100 წლის წინ, 1918 წელს. თუმცა მას გაცილებით დიდი ისტორია აქვს. ამ კონცეფციის საწყისები მოდის მე-15 მე-16 საუკუნიდან. PPP გაცვლითი კურსების შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკული კუთხით, როგორცაა ნომინალური გაცვლითი კურსის განსხვავებების დადგენა და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკით გამოპასუხება, გაცვლითი კურსის პარიტეტის დადგენა და შემოსავლების დონის ეროვნული მაჩვენებლის საერთაშორისო მაჩვენებელთან შედარება.

ტრადიციული PPP ჰიპოთეზის საწყის წერტილს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული ერთი ფასის კანონი. თუ წარმოვიდგენთ, რომ გვაქვს ორი ქვეყნის ეკონომიკა, რომელშიც ერთი არის მოცემული ქვეყანა (სამშობლო) და მეორე არის უცხო ქვეყანა. ეს ორი ქვეყანა აწარმოებს ერთგვაროვან საქონელს და ვაჭრობენ ერთმანეთში. დავუშვათ, არ გვაქვს ტრანსპორტირების და სხვა ტიპის გადასახადები, მაშინ ერთი ფასის კანონის მიხედვით ერთი და იგივე საქონელი ამ ორ სხვადასხვა ქვეყანაში უნდა გაიყიდოს ერთსა და იგივე ფასად, თუ ერთი ქვეყნის ფასებს გამოვსახავთ მეორე ქვეყნის ფასებში, რაც ფორმულის სახით მოიცემა შემდეგნაირად:

$$P_t^i = S_t^i P_t^{i*} \quad (2.6)$$

სადაც, P_t^i გამოხატავს ჰომოგენური საქონლის ფასს, ხოლო S არის ნომინალური გაცვლითი კურსი.

თუ განვიხილავთ შედარებით რთულ შემთხვევას, სადაც თითოეული ქვეყანა აწარმოებს n რაოდენობის საქონელს, მაშინ კერძო ფასების დაჯამებით ვღებულობთ საერთო ფასების დონეს, რომელიც შეგვიძლია გამოვსახოთ, როგორც:

$$P_t = \sum_{i=1}^n \alpha^i P_t^i \quad (2.7)$$

უცხო ქვეყნისათვის:

$$P_t^* = \sum_{i=1}^n \alpha^i P_t^{i*} \quad (2.8)$$

სადაც α გამოსახავს წონას, რომელიც გამოყენებულია ინდივიდუალური ფასების აგრეგირებისათვის და $\sum_{i=1}^n \alpha^i = 1$ (ვუშვებთ, რომ წონები ორივე ქვეყანაში ერთნაირია). ამ ფასების დონეების გამოყენების შედეგად მივდივართ აბსოლუტური PPP-ს პირობამდე:

$$S_t = \frac{P_t}{P_t^*} \quad (2.9)$$

ანუ თუ დავუშვებთ რომ ეკონომიკაში მხოლოდ ორი ქვეყანა არსებობს, რომლებიც აწარმოებენ მსგავს საქონელს, პირველ ქვეყანაში ფასების დონეს აღვნიშნავთ P_t -ით, ხოლო მეორე ქვეყანაში P_t^* , მაშინ აბსოლუტური PPP თეორიის თანახმად ქვეყნის ნომინალური გაცვლითი კურსი განისაზღვრება, როგორც მოცემული ქვეყნის სართო ფასების დონის შეფარდება უცხო ქვეყნის საერთო ფასების დონესთან. ზემოთ მოყვანილი (2.9) გამოსახულების ალტერნატივად შეგვიძლია განვიხილოთ მისი ნატურალური ლოგარითმით გარდაქმნის შედეგად მიღებული განტოლება:

$$s_t = p_t - p_t^* \quad (2.10)$$

რაც შეეხება რეალურ გაცვლით კურსს, Q , იმ შემთხვევაში, თუ აბსოლუტური PPP-ს თეორიას გამოვიყენებთ რეალურ გაცვლით კურსთან მიმართებაში, ზემოთ მოყვანილი (2.10) გამოსახულებების კიდევ ერთ ალტერნატივად გვევლინება გამოსახულება:

$$Q_t = \frac{S_t P_t^*}{P_t} \quad (2.11)$$

იმ შემთხვევაში, თუ PPP გამყარებულია, მაშინ რეალური გაცვლითი კურსი 1-ის ტოლი იქნება:

$$Q_t = \frac{S_t P_t^*}{P_t} = 1 \quad (2.12)$$

(2.11) და (2.12) გამოსახულებებში, Q განიხილება რეალური გაცვლითი კურსის როლში. ანალოგიურად, თუ განვიხილავთ (2.12)-ის ლოგარითმს, რეალური გაცვლითი კურსი ტოლი უნდა იყოს ნულისა:

$$q_t = s_t - p_t + p_t^* = 0 \quad (2.13)$$

თუმცა რეალობასთან ბევრად ახლოს არის შემდეგი გამოსახულება:

$$q_t = \rho q_{t-1} + \beta + \varepsilon_t \quad (2.14)$$

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ პროდუქტს ვიყიდით იმ ქვეყანაში, სადაც მას ნაკლები ღირებულება აქვს და გავყიდით იმ ქვეყანაში სადაც მისი ღირებულება შედარებით მეტია, ინდივიდი ღებულობს მოგებას. ხოლო, იმ დაშვების პირობებში, რომ გამოირიცხოს ტრანსპორტირებისა და სხვა ტარიფების სიდიდე, ყველა ღებულობს სარგებელს და ყველა ინდივიდი ეცდება მიიღოს მონაწილეობა ამ არბიტრაჟში. შედეგად, შედარებით დაბალი ფასების მქონე ქვეყანაში ფასების დონე გაიზრდება ნაკლები მიწოდების დონის გამო, ხოლო ფასების დონე იმ ქვეყანაში, სადაც შედარებით მაღალია, შემცირდება გაზრდილი მიწოდების საპასუხოდ. შედეგად, ამ ორ ქვეყანაში მოხდება ფასების კონვერგენცია ანუ გამოთანაბრება.

ცხადია დაშვება იმის შესახებ, რომ არ არსებობს ტრანსპორტირებისა და სხვა სახის დანახარჯები, რეალური ეკონომიკისათვის სიმართლეს არ შეესაბამება. გავითვალისწინოთ ეს (2.10) გამოსახულებაში და მარტივი გარდაქმნის მეშვეობით ჩავწეროთ განახლებული განტოლება, სადაც გათვალისწინებული იქნება ეს დანახარჯები:

$$s_t = \pi + p_t - p_t^* \quad (2.15)$$

სადაც π წარმოადგენს ტრანსპორტირების გადასახადის ღირებულებას. სწორედ ამ განტოლებიდან შეგვიძლია მივიღეთ PPP-ს ალტერნატიულ ვერსიამდე, რომელსაც ეწოდება ფარდობითი PPP და განისაზღვრება, როგორც ზემოთ მოყვანილი (2.15) გამოსახულების სახეცვლილება:

$$s_t = \Delta p_t - \Delta p_t^* \quad (2.16)$$

სადაც Δ აღნიშნავს პირველი რიგის სხვაობების ოპერატორს.

ფარდობითი PPP გვიჩვენებს, რომ შედარებით მაღალი ინფლაციის მქონე ქვეყნები განიცდიან ვალუტის გაუფასურებას.

PPP თავსატეხის ამოხსნის ერთ-ერთი გზა არის (CPI-ზე დაფუძნებული) ერთიანი რეალური გაცვლითი კურსის დეკომპოზირება, დაშლა, ორ შემადგენლად, პირველი - შიდა და გარე კომპონენტებად.

$$q_t = q_t^T + q_t^{NT,T} \quad (2.17)$$

ამის გარდა არსებობს PPP თავსატეხის ამოხსნის მცდელობის სხვა უამრავი მეთოდი, მათ შორის არაწრფივი მოდელები, თუმცა მათ არ შეუძლიათ გარკვეული საკითხების რეალისტური ახსნა.

2.2.2. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მოდელი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უკანასკნელ პერიოდში PPP თეორიასთან დაკავშირებით ფართო კვლევები მიმდინარეობდა, რამაც აჩვენა, რომ გრძელვადიან პერიოდში მსყიდველობითი უნარის პარიტეტი მუდმივი სიდიდეა. მარკმა და სოულმა (2001) გამოიყენეს პანელურ მონაცემებზე დაფუძნებული პროგნოზირების მოდელი და დაადგინეს, რომ კავშირი გაცვლით კურსსა და მონეტარულ საფუძვლებს შორის უფრო მჭიდროა, ვიდრე გაცვლით კურსსა და PPP-ს შორის. PPP საწყისის ქვეშ იგულისხმება f_t ფუნქციის სხვაგვარი გაგება, რომელიც ეფუძნება ფასების დონეებს მშობლიურ და უცხო ქვეყანას შორის, რისი გამოსახვაც ფორმულით შემდეგნაირად ხდება:

$$f_t = (p_t - p_t^*) \quad (2.18)$$

სადაც p_t არის მშობლიური ქვეყნის ეროვნული ფასების დონის ლოგარითმი, ხოლო p_t^* არის უცხოური ქვეყნის ეროვნული ფასების დონის ლოგარითმი. ეროვნული ფასების საზომად ვიყენებთ CPI-ს.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მოდელს ზემოთ მოყვანილი (2.18) იგივეობის თანახმად ექნება შემდეგი სახე:

$$s_t = \alpha + \beta_1(p_t - p_t^*) + u_t \quad (2.19)$$

აღნიშნული მოდელი გვიჩვენებს, რომ s_t -ს ზრდა მიუთითებს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას. თუ ეროვნული ფასები უცხოურ ფასებთან შედარებით უფრო მაღალია, ეროვნული ვალუტა უფასურდება. ეს მოდელი ეფუძნება დაშვებას ფარდობითი PPP-ს შესახებ, რომელიც საშუალებას იძლევა განტოლებაში ჩაირთოს მუდმივი წევრი. ფარდობითი PPP-ს გამოყენება კი ხდება იმ მიზეზით, რომ ფასების ინდექსი განსხვავდება ფასების დონისგან, ხოლო ჩვენ მოდელში ვიყენებთ სამომხმარებლო ფასების ინდექსს, როგორც ფასების საზომს.

2.3. ფრენკელ-ბილსონის ელასტიკური ფასების მონეტარული მოდელი

ფრენკელ-ბილსონის ელასტიკური ფასების მონეტარული მოდელი მიიღება ფულზე მოთხოვნის პირობითი ფუნქციისა და მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის სინთეზით.

ფულზე მოთხოვნის ფუნქციას მშობლიური ქვეყნისათვის ექნება შემდეგი სახე:

$$m_t^h - p_t^h = \alpha_1 y_t^h - \alpha_2 i_t^h \quad (2.20)$$

ფულზე მოთხოვნის ფუნქციას უცხო ქვეყნისათვის ექნება შემდეგი სახე:

$$m_t^f - p_t^f = \alpha_1 y_t^f - \alpha_2 i_t^f \quad (2.21)$$

სადაც m_t არის ფულის მიწოდების სიდიდის ლოგარითმი, p_t წარმოადგენს ფასების დონის ლოგარითმს, y_t მთლიანი შიდა პროდუქტის ლოგარითმის ტოლია, ხოლო i_t კი ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს წარმოადგენს. f და h ინდექსები კი შესაბამისად მშობლიური და უცხოური ქვეყნის აღმნიშვნელია. ფულზე მოთხოვნის ფუნქცია გვიჩვენებს, რომ რეალურ ბალანსზე მოთხოვნა გაიზრდება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდასთან ერთად ($\alpha_1 > 0$), მაგრამ შემცირდება საპროცენტო განაკვეთის მიხედვით ($\alpha_2 > 0$).

თუ ფულზე მოთხოვნის (2.20) და (2.21) განტოლებებს გამოვაკლებთ ერთმანეთს და ფულზე მოთხოვნას გადავიტანთ მიღებული გამოსახულების მარჯვენა მხარეს, მივიღებთ:

$$p_t^h - p_t^f = (m_t^h - m_t^f) - \alpha_1(y_t^h - y_t^f) - \alpha_2(i_t^h - i_t^f) \quad (2.22)$$

თუ გავითვალისწინებთ (2.10) გამოსახულებას, რომელიც გვიჩვენებს მსყიდველობითი უნარის პარიტეტს:

$$s_t = p_t^h - p_t^f$$

და ჩავსვამთ (2.22) გამოსახულებაში, მივიღებთ:

$$s_t = (m_t^h - m_t^f) - \alpha_1(y_t^h - y_t^f) - \alpha_2(i_t^h - i_t^f) \quad (2.23)$$

ემპირიული ანალიზისათვის, აღნიშნულ გამოსახულებაში შესაძლებელია თავისუფალი და ნარჩენობითი წევრის ჩასმა, შესაბამისად. ფრენკელისა და ბილსონის ელასტიკური ფასების მოდელს ექნება შემდეგი სპეციფიკაცია:

$$s_t = \beta_0 + \beta_1(m_t^h - m_t^f) - \beta_2(y_t^h - y_t^f) - \beta_3(i_t^h - i_t^f) + u_t \quad (2.24)$$

ამ გამოსახულებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ $\beta_1 > 0$, მაშინ სხვა თანაბარ პირობებში, ეროვნულ ეკონომიკაში ფულის მიწოდების ზრდა გაზრდის საქონელზე მოთხოვნას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ფასების დონის ზრდას მშობლიურ ეკონომიკაში და ეს საბოლოოდ აისახება ეროვნული ვალუტის გაუფასურებაში. თუ $\beta_2 < 0$, სხვა თანაბარ პირობებში, ქვეყნის ნომინალური შემოსავლების (მთლიანი შიდა პროდუქტის) ზრდა გამოიწვევს ფულზე მოთხოვნის ზრდას, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ფასების დონის შემცირებას, ხოლო ფასების შემცირება, თავის მხრივ, გამოიწვევს ეროვნული ვალუტის გაძვირებას. თუ $\beta_3 > 0$, სხვა თანაბარ პირობებში, საპროცენტო განაკვეთის ზრდა ეროვნულ ეკონომიკაში, შეამცირებს ფულზე მოთხოვნას, ფულის მიწოდების სიჭარბე შემცირებულ მოთხოვნასთან მიმართებაში, გამოიწვევს ფასების დონის ზრდას, აქედან გამომდინარე კი ეროვნული ვალუტა გაუფასურდება.

2.4. გაცვლითი კურსების მოდელირება ტეილორის წესის მიხედვით

ჩვენ ვიკვლევთ კავშირს გაცვლით კურსსა და სხვა ფაქტორებს შორის რომლებიც იზრდება მაშინ, როდესაც ცენტრალური ბანკი აწესებს საპროცენტო განაკვეთი ტეილორის წესის მიხედვით. ტეილორის (1993) მიხედვით მონეტარული პოლიტიკის პოსტულატები, რომლებსაც უნდა ემორჩილებოდნენ ცენტრალური ბანკები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

$$i_t^* = \pi_t + \varphi(\pi_t - \pi^*) + \gamma y_t + r^* \quad (2.25)$$

სადაც i_t^* არის მოკლევადიანი პერიოდის მიზნობრივი ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, π_t ინფლაციის დონე, π^* ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, y_t არის გამოშვების გეპი ან რეალური GDP-ის პროცენტული გადახრის პოტენციური მაჩვენებლისაგან და r^* არის რეალური საპროცენტო განაკვეთის წონასწორული დონე. თუ გავერთიანებთ ამ განტოლების ორ შემადგენელ კომპონენტს, ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს და რეალური საპროცენტო განაკვეთს, მივიღებთ შემდეგ ტოლობას:

$$i_t^* = \mu + \lambda\pi_t + \gamma y_t \quad (2.26)$$

თუ ამ (2.26) განტოლებაში ჩავრთავთ რეალურ გაცვლით კურსს, q_t , მაშინ გვექნება:

$$i_t^* = \mu + \lambda\pi_t + \gamma y_t + \delta q_t \quad (2.27)$$

მცირე გარდაქმნების შედეგად ზემოთ მოყვანილი საწყისი (38) გამოსახულება შემდეგ სახეს მიიღებს:

$$i_t = (1 - \rho)(\mu + \lambda\pi_t + \gamma y_t + \delta q_t) + \rho i_{t-1} + v_t \quad (2.28)$$

იმისათვის რომ მივიღოთ ტეილორის წესზე დაფუძნებული საპროგნოზო განტოლება, მშობლიური ქვეყნის საპროცენტო განაკვეთის ფუნქციას უნდა გამოვაკლოთ უცხოური ქვეყნის საპროცენტო განაკვეთის ფუნქცია:

$$i_t - \bar{i}_t = \alpha + \alpha_\pi \pi_t - \tilde{\alpha}_\pi \tilde{\pi}_t + \alpha_y y_t - \tilde{\alpha}_y \tilde{y}_t - \tilde{\alpha}_q \tilde{q}_t + \rho i_{t-1} - \rho \bar{i}_{t-1} + \eta_t \quad (2.29)$$

კავშირი მაღალ ინფლაციასა და პროგნოზირებულ რეალურ გაცვლით კურსს შორის აღინიშნება ნებისმიერ ქვეყანაში, რომელშიც ცენტრალური ბანკი საპროცენტო განაკვეთს იყენებს, როგორც ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის ერთ-ერთ ელემენტს. ტეილორის წესის კონტექსტიდან შესაძლებელია სამი დამატებითი ვარაუდის გამოთქმა. პირველი, თუ გამოშვების გეპი გაიზრდება, მაშინ ცენტრალური ბანკი გაზრდის საპროცენტო განაკვეთს და ეროვნული ვალუტის კურსი ამალდება. თუ უცხოური ქვეყანა ასევე ტეილორის წესს მიყვება, უცხოური ქვეყნის გამოშვების გეპის ზრდა ეროვნული ვალუტის გაუფასურებას გამოიწვევს. მეორე, თუ უცხოური ქვეყნისათვის რეალური გაცვლითი კურსი მცირდება, მაშინ უცხოური ქვეყნის

ცენტრალური ბანკი გაზრდის საპროცენტო განაკვეთს, რაც გამოიწვევს უცხოური ქვეყნის ეროვნული ვალუტის გაძვირებას და მშობლიური ქვეყნის ვალუტის გაუფასურებას. მესამე, თუ საპროცენტო განაკვეთი მოსწორებულია, მაღალი ლაგის საპროცენტო განაკვეთი გაზრდის მიმდინარე და მომავალში მოსალოდნელ საპროცენტო განაკვეთს. ეს სამი ვარაუდი შესაძლებელია გავაერთიანოთ ზემოთ მოყვანილ ტოლობასთან და გამოვიყვანოთ გაცვლითი კურსის საპროგნოზო ტოლობა:

$$\Delta s_{t+1} = \beta_0 + \beta_1(\tilde{\pi}_t - \pi_t) + \beta_2(\tilde{y}_t - y_t) + \beta_3\tilde{q}_t + \beta_4(\tilde{i}_{t-1} - i_{t-1}) + \eta_t \quad (2.30)$$

სადაც s_t არის ეროვნული ვალუტის ნომინალური გაცვლითი კურსის ლოგარითმი, შესაბამისად მისი ზრდა მიუთითებს ეროვნული ვალუტის გაუფასურებაზე.

2.5. საპროცენტო განაკვეთის მოდელი

უცხოური კაპიტალის მოძრაობა ბოლო ათწლეულებში უფრო თავისუფალი გახდა, რასაც ქვეყნების მხრიდან ბარიერების მოხსნამ და ფინანსურმა ინტეგრაციამ შეუწყო ხელი. უცხოური კაპიტალის ნაკადების ზრდასთან ერთად, ქვეყნებს შორის საპროცენტო განაკვეთების სხვაობის როლი გაცვლითი კურსის განსაზღვრაში გაიზარდა. დაუზღვეველი საპროცენტო განაკვეთების პარიტეტის (UIP) მოდელი დაფუძნებულია ჰიპოთეზაზე, რომ მსგავსი რისკიანობის მქონე ინვესტიცია ერთსა და იმავე მოსალოდნელ ამონაგებს უნდა იძლეოდეს ადგილობრივი და უცხოური ვალუტით ინვესტირებისას. რაც შეეხება პროგნოზირებაში ამ თეორიის გამოყენებას, დაუზღვეველი საპროცენტო განაკვეთების პარიტეტის მიხედვით, მოსალოდნელი ცვლილება გაცვლითი კურსის ლოგარითმში ტოლია ნომინალური გაცვლითი კურსების სხვაობისა. ამ მოდელის მიხედვით, ადგილობრივი ვალუტის რეალური ღირებულება გაიზრდება თუ ადგილობრივ და უცხოურ საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა გაიზრდება. აღნიშნული მოდელის რეალობასთან ადაპტირების მიზნით საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ადგილობრივ და უცხოურ აქტივებზე არსებული რისკ პრემიუმები. კერძოდ, ადგილობრივი ვალუტის საინვესტიციო აქტივებზე რისკის ზრდა ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების ზეწოლას შექმნის,

ხოლო უცხოურ აქტივებზე რისკ პრემიუმის ზრდა პირიქით, ადგილობრივი ვალუტის გამყარებას განაპირობებს.

ემპირიული დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ გაცვლითი კურსის დინამიკა შესაძლოა ემთხვეოდეს UIP-ს დინამიკას გრძელვადიან პერიოდში, თუმცა არა მოკლე ვადიანში. კლარკისა და ვესტის (2006) მიხედვით, საპროგნოზო განტოლებაში უნდა გამოვიყენოთ საპროცენტო განაკვეთების სხვაობები:

